საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №6/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 20 იანვრის №6 და 2020 წლის 20 თებერვლის №17 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 20 მარტის გადაწყვეტილებით -- -- 2020 წლის 20 იანვრის №6 და 2020 წლის 20 თებერვლის №17 საჩივრები გაერთიანდა ერთ წარმოებად, ხოლო დისციპლინურ საქმეს მიენიჭა 6/20 ნომერი.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 19 ივნისის №6/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ პროცესზე განაცხადა „რა კარგი ადვოკატივით საუბრობ, რა კარგი ადვოკატი გამოვიდოდა შენგან“-ო, რაც იმ პირობებში, როდესაც მისი სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, მხარის აზრით დამამცირებელი გამონათქვამი იყო.

1.2. მოსამართლემ გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში არ გაუგზავნა მხარეს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 07 თებერვალს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე - -- -- სამინისტროს მიმართ და მოითხოვა -- -- 2017 წლის 11 იანვრის №-- ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. -- -- სასამართლოს 2019 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2.2. აღნიშნული გადაწყვეტილება 2019 წლის 10 ივნისს სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- --. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2019 წლის 18 ივნისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. საქმეზე სხდომები გაიმართა 2019 წლის 24 სექტემბერს, 22 ოქტომბერს, 12 ნოემბერს და 10 დეკემბერს (გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი).

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2019 წლის 10 დეკემბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2019 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება -- -- წარმომადგენელს გაეგზავნა 27 იანვარს, ხოლო თავად -- -- 29 იანვარს. -- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 10 დეკემბრის განჩინება მხარემ ჩაიბარა 2020 წლის 30 იანვარს.

2.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 18 მარტის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2.4. -- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლეს განსახილველად ჰქონდა 231 საქმე (მათ შორის - 2018 წლის 66 საქმე), 89 კერძო საჩივარი (მათ შორის – 2018 წლის), საიდანაც დაასრულა 187 საქმე (80.9%) და 85 კერძო საჩივარი (95.5%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 19 ივნისის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 20 იანვრის №6 და 2020 წლის 20 თებერვლის №17 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

წინამდებარე დისციპლინური საქმე შეეხება, მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტითა და „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენას. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა,“ ხოლო „ვ.ბ“ ქვეპუნქტით „მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა“ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

უნდა აღნიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლი ასევე ადგენს დისციპლინური გადაცდომის არსებობისათვის სავალდებულო სხვა კუმულატიურ-აბსტრაქტულ წინაპირობებს და მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ზოგად გარემოებებს. ამდენად, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დასადასტურებლად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული წინაპირობების მიღმა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები.

4.1. მოსამართლის მიერ სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვის შეფასების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს, როგორც სამოსამართლო ეთიკის წესებზე ისე საერთაშორისო სამართლებრივ აქტებზე და დადგენილ სტანდარტებზე.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნავს, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს.[1] ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი.[2]

„სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებისა“ 4.1 კომენტარის თანახმად, მოსამართლე იცავს ეთიკის ნორმებს, მისთვის დაუშვებელია არაკორექტული ქცევა მის თანამდებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას.

ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად, მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

მოსამართლე უნდა იცავდეს ეთიკის ნორმებს, ეთიკური ნორმების დაცვა და ეთიკური ნორმების დაცვის დემონსტრირება როგორც პროფესიული, ისე პირადი ასპექტით მოსამართლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტებია. მთავარია არა ის, თუ რას აკეთებს ან არ აკეთებს მოსამართლე, არამედ ის, თუ რა გააკეთა, ან რისი გაკეთება შეუძლია მოსამართლეს გარშემომყოფთა აზრით. ფაქტია, რომ საზოგადოება მოსამართლისაგან ქცევის მაღალ სტანდარტებს მოელის. არაკორექტული ქცევის გამოსავლენი კრიტერიუმია იმის განსაზღვრა, ხომ არ ვნებს ასეთი ქცევა მოსამართლის უნარს, პატიოსნად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კვალიფიციურად შეასრულოს მოსამართლის მოვალეობები, თუ, გარეშე დამკვირვებლის აზრით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეს არ შეუძლია, ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.

საქმის მასალებით დასტურდება, -- სააპელაციო სასამართლოში 2019 წლის 22 ოქტომბრის სასამართლო სხდომა დაიწყო 11:02 საათზე. სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ წარადგინა ახსნა-განმარტება. აღნიშნულის შემდეგ მოსამართლემ სიტყვა მისცა მოსარჩელის წარმომადგენელს, რომელმაც საუბარი დაიწყო იმით რომ მოსარჩელე -- -- კარგად გაშალა და ისაუბრა დავის საგანზე, რაზეც მოსამართლემ 12:08:03 საათზე განაცხადა „ბატონი -- იურისტიც გახდა ამასობაში“. მოცემულ შემთხვევაში, კონტექსტის გათვალისწინებით, აღნიშნული ფრაზა ვერ იქნება მიჩნეული შეურაცხყოფად.

ამდენად, აუდიო- და ვიდეოოქმების მოსმენის შედეგად მოსამართლის მიერ არაეთიკური, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი მიმართვის ფაქტი არ დადასტურდა.

4.2. რაც შეეხება მოსამართლის მიერ საქმის განხილვის საპროცესო ვადის არსებით დარღვევას და გადაწყვეტილების კანონით დადგენილ ვადის დარღვევით გაგზავნის ფაქტს, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი

[1] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო CCJE, დასკვნა 3, 2002, §8, გვ. 3
[2] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო CCJE, დასკვნა 3, 2002, §22, გვ. 6

გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ „ვ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს და განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[3] სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (Golder c. Royaume-Uni, 21 février 1975, §§ 28-36, série A no 18).

სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (Hornsby v Greece §40). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას (Diennet v. France, § 33; Martinie v. France [GC], §39).

საქმეზე – ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ (*Hornsby v. Greece*) – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „სასამართლოზე უფლება“ ილუზიური იქნებოდა, თუკი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემა კანონიერ ძალაში შესული, სავალდებულო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას დაუშვებდა რომელიმე მხარის საზიანოდ. ალოგიკური იქნებოდა, მე-6 მუხლს დეტალურად გაეთვალისწინებინა მოდავე მხარეებისათვის მინიჭებული პროცედურული გარანტიები ისე, რომ არ დაეცვა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება. მე-6 მუხლის იმდაგვარი განმარტება, რომ იგი მხოლოდ სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და სამართალწარმოების ჩატარებას ეხება, სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელ შემთხვევებამდე მიგვიყვანდა, რომლის პრინციპების პატივისცემის ვალდებულებაც სახელმწიფოებმა კონვენციის რატიფიკაციისას იკისრეს. ამიტომაც ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მე-6 მუხლის მიზნებისათვის „სასამართლო განხილვის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს.[4]

ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის, სასამართლოს პროცესის სრულყოფილად და კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი პროცედურებით წარმართვის ან/და ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ პირმა სრულყოფილად ისარგებლოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით, სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

[4] კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბადოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, გვ. 131

აღსრულების შესაბამისი პროცედურები/რეგულაციები, რომლებიც თანაბრად დაიცავს აღსრულების პროცესში მონაწილე ყველა მხარის უფლებებს ან/და კანონიერ ინტერესებს.[5]

მაშასადამე, სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულების შესაძლებლობა სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია, რომელიც თავის თავში მოიაზრებს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებასაც. გასაჩივრების უფლების რეალიზებისთვის აუცილებელია მხარეს ჩაბარდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება/განჩინება, რათა ისარგებლოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსადმი მიმართვა არ იქნება სრულყოფილი უფლებადაცვითი საშუალება, თუ პირს არ ექნება სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება დროულად და ჯეროვნად აღსრულდება.[6]

გასაჩივრების უფლებაზე მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ისე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ვადებზე, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უგზავნის იმ გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლს, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. სხვა სასამართლო აქტების ასლები მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს გადაეცემათ მათი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად.

განსახილველ შემთხვევაში საკითხი შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობას, კერძოდ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად მომზადებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2019 წლის 10 დეკემბრის განჩინება -- -- წარმომადგენელს გაეგზავნა 27 იანვარს, ხოლო თავად -- -- 29 იანვარს. განჩინების მიღებიდან 1 თვისა და 17 დღის შემდეგ.

დისციპლინური გადაცდომის კუთხით მოსამართლის ქმედების შეფასებისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე, სადაც მან განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს… მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება, თუ დადასტურდება მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ზუსტად განსაზღვრას, რომ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.“[7]

---

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის 2/5/879 გადაწყვეტილეა ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-7

[6] იქვე II-8

[7] სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე

ამასთან, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა იწყება დასაბუთებული გადაწყვეტილების/განჩინების ჩაბარების მომენტიდან. შესაბამისად, მხარეს არ შეზღუდვია სასამართლო განჩინების გასაჩივრების უფლება.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა კანონით განსაზღვრული იმპერატიული მოთხოვნის სასამართლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ვადის დარღვევა, ვინაიდან, დასაბუთებული განჩინება მხარეებს გაეგზავნათ დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვისა და 3 დღის შემდეგ, მაგრამ მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლის, სტატისტიკური მონაცემების და განსახილველ საქმესთან მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების შეფასების შედეგად, მოსამართლე -- -- მხრიდან არ იკვეთება საპროცესო ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა, მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №6/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი